

# კრიპტოვადრუტების ღირებულება მკვეთრად უფასურდება



ბიტკოინმა და სხვა მთავარმა კრიპტოვადრუტებმა მორიგი მკვეთრი ვარდნა განიცადეს. ჯერჯერობით ვარდნასთან დაკავშირებით ანალიზი არ გაკეთებულა, თუმცა ანალიტიკოსების გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, აღნიშნული გაუფასურების მიზეზი კრიპტოვადრუტების დიდი

**ნაწილის ფიატურ ვადრუტაში გადაცვლა გახდა.**

ბოლო 24 საათის განმავლობაში ბიტკოინ 4.39%-ით (\$7,024.02), ხოლო ეთერიუმი 10.44%-ით (\$258.96) გაუფასურდა. ანალოგიური ვარდნა რიპლს (9.33%), ბიტკოინ ქეშსა (10.99%) და ეოსსსაც (10.52%) ჰქონდათ.

მიმდინარე კვირის დასაწყისში ბიტკოინი სტაბილურად იზრდებოდა და გასული 30 დღის მაქსიმუმსაც მიაღწია, რამაც ბიტკოინის მორიგი ზრდის მოლოდინი შექმნა, თუმცა კრიპტობაზარმა კარდინალურად განსხვავებული სურათი შემოგვთავაზა.

კრიპტობაზარმა ღირებულების მაქსიმუმს გასული წლის დეკემბერსა და მიმდინარე წლის იანვარში მიაღწია. მას შემდეგ დაწყებული ვარდნა რამდენიმეკვირიანი აღმასვრებით იყო ჩანაცვრებული. თუმცა 2018 წლის კრიპტობაზრის დინამიკაზე ცარსახად შეიძლება ითქვას, რომ კრიპტობაზარი ყოველდღიურად უფასურდება.

Independent